ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2864427

ნომერი: AR1443450

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა IV , N 3 , (ნაკვ. 4/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ღუდუშაური პ/ნ 01008054066
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 45 კორ. 26 ბ. 4

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2447356
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.03.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06/09/2016 წლის №ბ-228609/07 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ:
- შეცვლილია კეთილმოწყობა - ნაწილობრივ გაუქმებულია გამწვანების ზოლი;
- ტერიტორიის მოპირკეთებისა და სარინელის ნაწილი სცდება წითელ ხაზებს;
- ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა მოაწყოთ გამწვანების ზოლი სრულყოფილად და საკადასტრო საზღვარს გაცდენილ ნაწილ(ებ)ზე წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით ან/და მოაქციოთ აღნიშნული ნაწილები საკადასტრო საზღვრებში;
- შესაბამის ველ(ებ)ში შეავსეთ ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები;
- არ დგინდება განმხადებლის უფლებამოსილება - სამსახურს უნდა მომართავდეს დამკვეთი ან/და მინდობილი პირი; საწიროა წარმოადგინოთ დამკვეთის მიერ გაცემული შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე, ან/და დააფიქსიროთ დამკვეთი თანაგანმცხადებლად;
მას შემდეგ რაც გამოსწორდება ხარვეზი, საჭიროა ჯერ ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ - ბრძანების აღნიშნულ ნაწილში ცვლილების შესატანად და შემდეგ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.